ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**№48. 482535013**

თარიღი:**16/12/2025**

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი"-ს 2025 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 14 იანვრის №48. 48250143 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.გ" ქვეპუნქტის, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის (ს/კ 421268041) წესდების ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 12 დეკემბრის №ბ.48.482334619 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტისა და ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის" მმართველის 2025 წლის 16 დეკემბრის №13-482535023 წერილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 14 იანვრის №48.48250143 ბრძანებაში და ამ ბრძანებით დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართი 1-ის შესაბამისად.
2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის" მმართველს (გ.ალიბეგაშვილი).
3. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY NPL
221274546

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი